ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. XXI
თბილისი. 2025

არჩილ კოხრეიძე
უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და
ეთნოლოგიის ინსტიტუტი, თსუ

გვანცა ფხაკაძე
თსუ

საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი XX საუკუნის 20-იან წლებში*

XX საუკუნე ტრაგიკული და დრამატული იყო მსოფლიოსათვის. 1922 წელს საქართველო ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციაში, შემდეგ კი სსრკ-ში შეიყვანეს. ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის მიზანშეწონილობა სერიოზულ წინააღმდეგობას იწვევდა როგორც მაშინდელ ოპოზიციაში, ისე კომპარტიაში. საყურადღებოა, რომ ამ 15 წლიანი სახელმწიფოებრივი გაერთიანების ისტორიის საკითხები დღემდე შეუსწავლელია. მათ შორისაა საქართველოს შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხი 1921-1936 წლებში.

1921 წლის 21 თებერვალს ქვეყნის პირველი კონსტიტუციის 107-ე მუხლით გამოცხადდა აფხაზეთის, სამუსლიმანო საქართველოს (ბათუმის ოლქის) და ზაქათალის ოლქის ავტონომია, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილისა.[1]

პირველი რესპუბლიკის დამფუძნებელი კრების თვითმმართველო-

* პუბლიკაცია მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის (გრანტის №FR-22-2916, 2023-2025 წწ.) – საქართველო ამიერკავკასიის ფედერაციაში – შიდა ადმინისტრაციულ-ტერიტორიული და რესპუბლიკათაშორისო საზღვრები 1922-1936 წლებში – ფარგლებში.

[1] საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლებრივი აქტების კრებული 1918-1921 წწ. თბ. 1990, გვ. 470.

ბის კომისიის მიერ 1920 წელს ძველი საგუბერნიო და საუბნო დაყოფა გაუქმდა, შენარჩუნებული იქნა მაზრები, რომელსაც ოლქები ეწოდა და რაიონები, სოფლის საზოგადოება კი თემად გამოაცხადდა. საქართველოს ახალი ადმინისტრაციული მოწყობის პროექტში ვკითხულობთ :

„საქართველოს ტერიტორიის ადმინისტრაციულ ერთეულებად დანაწილების დროს უმაღლეს ადმინისტრაციულ ერთეულის ნორმად ჩვენ მივიღეთ არსებული მაზრა. სამაზრო დანაწილება, რომელიც მიღებული იყო რუსეთის ხელისუფლების დროს, არ იყო ხელოვნურად შექმნილი რამ. ეს ერთეულები მთელი საუკუნეებია რაც არსებობს და შეეფერება საქართველოს ბუნებრივ დანაწილებას საგეოგრაფიო ერთეულებად ... თვითეული ამათგანი წარმოადგენს ცალკე ბუნებრივ გეოგრაფიულ პროვინციას, მთლიანს ოროგრაფიულად, ჰიდროგრაფიულად და სამეურნეო პირობების მიხედვით“.[2] სამაზრო დანაწილებაში აუცილებელი ცვლილებების შეტანის გადრა, ქვეყნის დემოკრატიულად არჩეულმა ხელისუფლებამ მეტის გაკეთება ვერ შეძლო.

საქართველოს მეორე რესპუბლიკის არსებობის პირველივე დღეებიდანვე ნათელი გახდა ძველი ადმინისტრაციული დაყოფის შეუსაბამობა ქვეყნის ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ამოცანებთან და მოთხოვნებთან. რუსეთის იმპერიაში ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დროს მხედველობაში არ იღებდნენ სამეურნეო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და ნაციონალურ ერთგვაროვნებას; გუბერნიებად, მაზრებად, უბნებად და სოფლის საზოგადოებებად დაყოფის მიზანი მხოლოდ ადმინისტრაციული მმართველობა იყო. შეცვლილ პირობებში დღის წესრიგში დადგა სახალხო მეურნეობისა და ადმინისტრაციული მმართველობის მაქსიმალური დაახლოება. ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფას საფუძველად დაედო ეკონომიკური პრინციპები, რა დროსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ნაციონალური მომენტს.

„კომუნისტების მიერ ქვეყნის რაიონულ მოწყობას მაშინდელი დროისთვის საკმაოდ პრაგმატული მნიშვნელობა ჰქონდა. რესპუბლიკის მაქსიმალურად პატარა მუნიციპალიტეტებად დაყოფა ტოტალური მართვის მაღალ ხარისხს უზრუნველყოფდა. კომუნისტები ადრეული ეპოქის მთავარი დამპყრობლის რომის იმპერიის და ზოგადად ყველა დამპყრობლის ცნობილი თეზისის, დაყავი და იბატონე, პრინციპის მიხედვით მოქმე-

[2] პროექტი საქართველოს ტერიტორიის დანაწილებისა ახალ საადმინისტრაციო ერთეულებად (ოლქებად). თბ. 1920 წელი, გვ.12.

დებდნენ. უპირველესად ეს მიმართული იყო ქართული მოსახლეობის ცნობიერებიდან ეროვნული თვითმყოფადობის და საკუთარი ისტორიული ფესვების ამოშლისაკენ. რაც საბოლოო ჯამში ახალი საბჭოთა ადამიანის, გინდათ ეროვნების, გამოყვანას ემსახურებოდა".[3]

1921 წ. ეთნიკური გამიჯვნის ნიშნით შეიქმნა აფხაზეთის სსრ რესპუბლიკა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური ოლქი. 1922 წელს მიღებულ კონსტიტუციაში ვკითხულობთ: საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში თავისუფალ თვითგამორკვევის საფუძველზე შედიან: აჭარის ავტონომიური სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის სოციალისტური საბჭოთა რესპუბლიკა, უკანასკნელი უკავშირდება საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკას ამ რესპუბლიკათა შორის დადებულ, განსაკუთრებულ საკავშირო ხელშეკრულების საფუძველზე.[4]

მალე დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიის სამი რესპუბლიკის გაერთიანება ფედერაციულ კავშირში. 1922 წლის 10 დეკემბერს ბაქოში შედგა ამიერკავკასიის საბჭოების I ყრილობა, რომლის ძალისხმევითაც ახლადშექმნილი ამიერკავკასიის ფედერაცია გარდაიქმნა ამიერკავკასიის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკად.[5]

საქართველოს მეორე რესპუბლიკის 1926 წლის (დამტკიცებულია 1927 წელს), 1931 წლისა და 1937 წლის კონსტიტუციებში ასახულია ის ცვლილებები, რასაც ადგილი ჰქონდა ამ პერიოდის ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში (საქართველოს შეყვანა ა/კავკასიის საბჭოთა ფედერაციაში, მისი მეშვეობით კი სსრ კავშირში; ქვეყნის შემადგენლობაში არშესული აფხაზეთისათვის სტატუსის განსაზღვრა ავტონომიის სახით მისი შესვლა საქართველოს მეორე რესპუბლიკის შემადგენლობაში და ამიერკავკასიის სფ რესპუბლიკის გაუქმება და ქვეყნის ურროლო შესვლა სსრ კავშირის შემადგენლობაში).

ახლა კი კვლავ დავუბრუნდეთ...

ქვეყნის ახალმა ხელისუფლებამ პირველი რესპუბლიკისგან მემკვიდრეობით მიიღო ადმინისტრაციული დაყოფის ორსაფეხურიანი სისტემა: თემი, მაზრა. ჩვენი თემი თავისი მოცულობით რუსეთის თუ სხვა

[3] ა.კილაძე. საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ანალიზი და პერსპექტივები. Prime GeorGia. ანალიტიკური ჟურნალი. 17 დეკემბერი 2017.
[4] საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის კონსტიტუცია. თბ. 1922, გვ. 3
[5] საქართველოს ისტორია. გ. მელიქიშვილის რედაქციით, თბ. 1980, გვ.. 378.

„მოკავშირე“ რესპუბლიკების სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულებზე გაცილებით დიდი იყო. თემ-საბჭო, თავისი აღმასრულებელი კომიტეტით, სტრუქტურულად ქმნიდა, რადაც საშუალო ერთეულს სასოფლო საბჭოს და რაიონულ აღმასკომს შორის. ხელისუფლების მოსახლეობასთან დაახლოების მიზნით საჭირო გახდა ქვედა ადმინისტრაციულ ერთეულთა შემცირება. შესაბამისად, 1924 წელს, ნაცვლად 572 თემ-საბჭოსი, შეიქმნა 623 სასოფლო საბჭო. მოეწყო 111 რაიონული აღმასკომი, ოღონდ მათთვის არ იყო შექმნილი საჭირო მატერიალური ბაზა.

თანაც არ იყო გარკვეული ქვეყნის ეკონომიკური დარაიონების საკითხი, რომელიც საფუძვლად უნდა დადებოდა ადმინისტრაციულ დარაიონებას. რაიონული აღმასკომების გვერდით არსებობდნენ სამაზრო აღმასკომები, რომელთა ხელში იყო ყველა რაიონული მნიშვნელობის შემოსავლის წყარო.

დარაიონების პრობლემა მთელი სიმწვავით დადგა სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი გეგმის შედგენისას, რა დროსაც მკაფიოდ გამოიკვეთა დარაიონების მნიშვნელობა.

საქართველოს საბჭოთა მეორე ყრილობის 1924 წლის 2 იანვრის სხდომაზე რესპუბლიკის რაიონებად დაყოფისა და სამაზრო-სათემო აპარატების გამარტივების შესახებ მოხსენებით გამოვიდა ს. გეგეჭკორი, რომლის აზრით, საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის საფუძველი ტერიტორიების ეკონომიკური პრინციპით დარაიონება უნდა გამხდარიყო. პროექტის მიზანი ადგილობრივი სახელისუფლო აპარატის გამარტივება-გაუმჯობესება, ახალი საზღვრების დადგენის შემდეგ, ადმინისტრაციული და ეკონომიკური მმართველობის ერთ ორგანოში გაერთიანება იყო, რომელიც მეტ-ნაკლებად (წყაროს მიხედვით „შედარებით“) მთლიან ეკონომიკურ რაიონად უნდა მოწყობილიყო.[6] საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტმა 1924 წ. ოქტომბერის პლენუმზე აღნიშნა, რომ ახალმა დარაიონებამ არამც თუ არ გამოიღო სასურველი შედეგები, არამედ ხელი შეუწყო რაიონების ერთმანეთისგან დაშორებას, ხელისუფლების ორგანოების გლეხობის მასებისგან მოწყვეტას და დაადგინა - უარყოფილიყო დარაიონების სისტემა და მომხდარიყო წინანდელ სათემო სისტემაზე გადასვლა.

მთავრობამ გააუქმა რაიონები და შეუდგა ქვედა ადმინისტრაციუ-

[6] საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (უიცა). ფონდი 284 ანაწერი 2. საქმე 1, ფურ. № 152.

ლი ერთეულების - თემების გადიდებას, რაც გამოწვეული იყო საბჭოებისთვის მტკიცე უდეფიციტო ბიუჯეტის შექმნითა და ცალკეული ადმინისტრაციულ ერთეულთა ეკონომიკურად გაძლიერებით, თუმცა თემების რიცხვის შემცირებამ კვლავ დააშორა მოსახლეობა ხელისუფლების ორგანოებს.

საქართველოს რაიონებად დაყოფის პროექტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო შემდეგი სამი მომენტი: ეკონომიკა, ადმინისტრაციული წყობის სიმარტივე და ფინანსური საკითხი.

ეკონომიკის საზომი აღებული იყო იმგვარად, რომ რაიონებად დაყოფის შემდეგ სახეზე ყოფილიყო ეკონომიკურად მთლიანი ტერიტორიები, გაერთიანებული სამეურნეო-ეკონომიკური პირობების ერთგვაროვნებით.

მეორე მომენტი - ადმინისტრაციული, იმისკენ იყო მიმართული, რომ სახელმწიფოს ადმინისტრაციული მოწყობისას ყოფილიყო მეტი სიმარტივე ანუ ნაკლები „საფეხური“ ცენტრსა და პერიფერიას შორის. კავშირი უნდა განხორციელებულიყო მარტივად, ზედმეტი ბიუროკრატიის გარეშე.

ფინანსური საკითხი - დაკავშირებული იყო ადმინისტრაციული მოწყობის რაციონალიზაციასთან, უნდა მომხდარიყო თანხების დაზოგვა შეკვეცილი ადმინისტრაციული ერთეულების შესანახად.

რუსეთსა და უკრაინაში მოქმედებდა ოთხ და ხუთ საფეხურიანი დიდი ოლქების სისტემა. რუსეთში მიღებული იყო ხუთსაფეხურიანი დარაიონების სქემა: რესპუბლიკური ცენტრი, მხარე - აერთიანებს რამდენიმე ყოფილ გუბერნიას, სადაც მოსახერხებელი გახდა სამეურნეო პირობების ერთგვარი კონსოლიდაცია, ოლქი - აერთიანებს რამდენიმე ყოფილ მაზრას, ყოფილი გუბერნიის მესამედს ან მეოთხედს, რაიონი -- პატარა „ვოლოსტების“ გაერთიანება, მოცულობით ყოფილი მაზრის მესამედი ან მეოთხედი, სასოფლო საბჭო - ძირითადი ადმინისტრაციული უჯრედი.

სხვა „მოკავშირე“ რესპუბლიკებში, მათ შორის უკრაინაში, უკუგდებული იქნა ერთ-ერთი საფეხური - მხარე და შემუშავდა ოთხ საფეხურიანი სისტემა: რესპუბლიკური ცენტრი, ოლქი, რაიონი, სასოფლო საბჭო.

თავდაპირველად საქართველოსთვისაც დიდი ოლქების პროექტი შემუშავდა, არსებობდა ორი ვარიანტი:

ერთი პროექტით, რომელიც ეკუთვნოდა ამიერკავკასიის საგეგმო

კომისიას, ქვეყანაში უნდა დანერგილიყო ოთხ საფეხურიანი სისტემა: რესპუბლიკა, ოლქი, რაიონი, სოფლის ერთეული. უნდა შექმნილიყო 5 დიდი საოლქო ერთეული და 3 ავტონომია.

ა) ტფილისის ოლქი (რომელშიც შევიდოდა მაზრები: ტფილისის, ბორჩალოს, დუშეთის, მეორე ვარიანტით ახალქალაქიც).

ბ) კახეთის ოლქი (რომელშიც შევიდოდა სიღნაღის და თელავის მაზრები).

გ) გორის ოლქი (გორის, ახალციხის და შესაძლოა ახალქალაქის მაზრები).

დ) ქუთაისის ოლქი (ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ლეჩხუმის მაზრებით).

ე) ფოთის ოლქი (ოზურგეთის, სენაკის, ზუგდიდის და ზემო სვანეთის მაზრებით).

პროექტით, 5 ოლქის ფარგლებში მოსახლეობის რაოდენობა უნდა ყოფილიყო 20-25.000 (გარდა ავტონომიებისა), იქმნებოდა დაახლოებით 90 რაიონი, რომელსაც მოყვებოდა სოფლის საბჭო. მივიღებდით დარაიონების ასეთ სქემას: რესპუბლიკა - 5 ოლქი, 3 ავტონომია, 90 რაიონი, 700-მდე სოფლის საბჭო.

მეორე პროექტი გულისხმობდა არსებული მაზრების გაერთიანებას, დიდი ოლქების სისტემაზე გადასვლას, არ ჰქონდა რაიონები, რაც ართულებდა ოლქისა და ძირითადი ერთეულის კავშირს. ეს სისტემა საქართველოს ახალი დარაიონებისათვის უვარგისი იყო, იზრდებოდა აპარატის ხარჯები, უნდა შემუშავებულიყო პატარა ოლქების სისტემა, რაც თავიდან იცილებდა მრავალსაფეხურიან ადმინისტრაციულ სტრუქტურას, გვერდს უვლიდა ბიუროკრატიას, სახელმწიფო აპარატის სტრუქტურა უფრო მარტივი, მოძრავი და მიზანშეწონილი ჩანდა.

მაზრების ოლქებად და სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების რაიონებად გაერთიანებისას გადამწყვეტი ფაქტორი ადმინისტრაციული ერთეულების ეროვნული ერთგვაროვნება, ეკონომიკური და სატრანსპორტო კავშირი, სამეურნეო და საფინანსო სიმძლავრე იყო; ყოველ მათგანს უნდა ჰქონოდა თავისი ფინანსურ-მატერიალური ბაზა, რაიონული მეურნეობა, ადგილობრივი ბიუჯეტი.

საქართველოს მოსახლეობის მრავალეროვნული შემადგენლობის პირობებში ნაციონალური მომენტი დარაიონებისას არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო; თუ რომელიმე თემის და რაიონის მოსახლეობაში სჭარბობ-

და ნაცუმცირესობა, ხდებოდა ცალკე საბჭოს მოწყობა, საქმის წარმოებისათვის კი უნდა გამოყენებულიყო ამ უმცირესობის ენა.

დარაიონებისას გადაჭარბებული მნიშვნელობა ეძლეოდა ეკონომიკურ საკითხს. როგორ უნდა მომხდარიყო ტერიტორიების გადამიჯვნა?! ეკონომიკური დარაიონება მთისა და ბარის ქვეყნებისთვის სხვადასხვა მიდგომას მოითხოვს. საქართველო კი მოიცავს მთისა და ბარის სექტორებს, რაც ართულებდა მისი დარაიონებისას ეკონომიკური ფაქტორის გათვალისწინებას.

საქართველოს რელიეფს ახასიათებს მრავალი ხეობა, მთიანი, ნახევრად მთიანი და ბარის რაიონების ხშირი შენაცვლება პატარა სექტორების მანძილზე. მთელ ტერიტორიას გასდევს ორი მაგისტრალური მთის სისტემა - ჩრდილო ზონაში დიდი კავკასიონი, სამხრეთში მცირე კავკასიონი, ცენტრალურ ნაწილში ზოგან ბარის რაიონებია, ზოგან ნახევრად მთიანი ველების ზოლი. ერთმანეთს ენაცვლება ბარის, ნახევარმთიანი, საშუალომთიანი და მაღალმთიანი რაიონები. ასევე ქვეყანა ჰიდროგრაფიულად გაყოფილია 2 აუზს შორის - შავი და კასპიის ზღვის. შავი ზღვა დიდ გავლენას ახდენს რაიონის ჩამომყალიბებელ ფაქტორებზე.

ამგვარ პირობებში საქართველოსთვის ზედგამოჭრილი აღმოჩნდა დარაიონების სამსაფეხურიანი სისტემა:

1. ძირითად საფეხურს წარმოადგენს თემი. საქართველოს სინამდვილეში იგი არის ისტორიულად ჩამოყალიბებული ბუნებრივ-საზოგადოებრივი ერთეული. ტერიტორიულად იმდენად დიდი არ არის, რომ სასოფლო საბჭოების სახით საჭიროებდეს ზედმეტი საფეხურის შემოღებას. მათი საშუალო რადიუსი უდრის 6კმ-ს. ეს მანძილი არ აძნელებს მათ შორის კავშირს და ხელს უწყობს თემების სახით ეკონომიკურად ძლიერი უჯრედის ჩამოყალიბებას.

2. მეორე საფეხურია ეკონომიკური ოლქი, იგი როგორც ერთეული შეკავშირებულია სამეურნეო პირობების ერთგვაროვნობით, ოლქი უნდა ყოფილიყო არანაკლებ 18 და არაუმეტეს 20 ერთეული. იგი უკვე არსებული მაზრისგან იმით განსხვავდება, რომ ჩამოყალიბებულია სამეურნეო პრინციპის მიხედვით. აერთიანებს ბუნებრივ-გეოგრაფიული ფაქტორებით და მეურნეობით დაკავშირებულ ტერიტორიებს. არის ისეთი ზომის უჯრედი, რომ უპრობლემოდ უკავშირდება ძირითად უჯრედსაც და რესპუბლიკურ ცენტრსაც. მის ფარგლებში საშუალოდ შედის 21 სათემო ერთეული, ხოლო რესპუბლიკური ცენტრი აერთიანებს 23 საოლქო

მნიშვნელობის ცენტრს (ავტონომიების და რაიონების ჩათვლით). თითოეულ საფეხურზე 20-დან 25-მდე ერთეულით, ერთი ცენტრიდან მათი მართვა შეუფერხებლად არის შესაძლებელი.

3. მესამე საფეხურია - რესპუბლიკური ცენტრი.

პროექტის მიხედვით შემოღებული იქნებოდა 18 საოლქო ერთეული, 9 აღმოსავლეთ, 9 დასავლეთ საქართველოში. ამ ძირითად საოლქო ერთეულს ემატებოდა 1 ზემო სვანეთის რაიონი, 1 უოლქო ქალაქი ფოთის სექტორი და 3 ავტონომია. ამრიგად საერთო რიცხვი ყველა ერთეულის, რომელიც უშუალოდ უკავშირდებოდა რესპუბლიკურ ცენტრს იყო 23.

თუ ავიღებთ 18 ძირითად საოლქო ერთეულს, თითოეულზე საშუალოდ მოდის ტერიტორიისა და მოსახლეობის შემდეგი ნორმა.

ტერიტორია: 1. მთელი ფართობი 2.დაუსახლებელი სექტორები მოსახლეობა: 1. სოფლის და ქალაქის მოსახლეობა ერთად 2. მარტო სოფლის მოსახლეობა	2.900კვ.კმ 2.200 12500 სული 99.000 სული

თემების რიცხვი თითოეულ საოლქო ერთეულში და მათი მოცულობა შემდეგია:

1. საშუალოდ მოდის ერთ საოლქო ერთეულზე	21 თემი
2. თითოეულ თემზე სოფლის მოსახლეობა	4,700 სული
3. თითოეულ თემზე ტერიტორია	105 კვ.კმ
4. თემის ტერიტორიის საშუალო რადიუსი	6 კმ

დარაიონების პროექტი ჩამოთვლილი ფაქტორების გარდა, შედგენილია სხვა გარემოებების გათვალისწინებითაც:

ეკონომიკური ოლქები და საქართველოს ქალაქების ქსელი: თითოეულ საოლქო ერთეულში არის საქალაქო ცენტრი, რომლის გარშემო ერთიანდება მთელი რაიონის სამეურნეო და კულტურულ-საზოგადოებრივი ცხოვრება.

ეთნოგრაფიული პრინციპი: სანაპირო სექტორები, რომლებიც ეთ-

ნოგრაფიულ სხვაობას წარმოადგენენ და რომელთა ჩამოშორება არ არღვევდა ცალკე პროვინციების ტერიტორიულ მთლიანობას, შევიდა იმ ოლქების შემადგენლობაში, რომლებთანაც დაკავშირებულია მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობით.[7]

დარაიონების დროს ზოგ შემთხვევაში ჩატარებულ იქნა რადიკალური გადამიჯვნა, რასაც მოითხოვდა ცალკეულ სექტორთა მეურნეობა და ბუნებრივი პირობები. მაშინ როცა ადრინდელი მაზრები არ იყვნენ ჩამოყალიბებული არც სამეურნეო და არც ადმინისტრაციული კავშირის თვალსაზრისით. ზოგიერთ ერთეულში ახალი ეკონომიკურ ცენტრები წარმოიშვა, დარაიონების შედეგად გაუქმდა ზოგი სამაზრო ერთეული, მოხდა ზოგი მაზრის რეორგანიზაცია, ჩამოყალიბდა 4 სამაზრო ერთეული:

ჭიათურის სამთო-სამრეწველო ოლქი, გაერთიანებულია ზესტაფონის პროვინციასთან. ხაშურის პროვინცია მიეკუთვნებოდა გორის პროვინციას. მესამე ახალი ოლქია თრიალეთის პროვინცია, რომელიც დანაწილდა სხვადასხვა მაზრებს შორის. მთავარი სექტორები შეერთდა ტფილისის და ბორჩალოს მაზრებთან, დუხობორიე კი შევიდა ახალქალაქის მაზრაში. მეოთხე არის სამტრედიის პროვინცია, შეიქმნა ქალაქ სამტრედიის გარშემო. დანარჩენ ოლქებში რეორგანიზაცია მოხდა ეკონომიკურ საფუძველზე;

რადიკალური ტერიტორიული ცვლილებები მოხდა ტფილისის ოლქის ფარგლებში.

საქართველოს რესპუბლიკის ცაკ-თან არსებული კომისიის 1926 წლის 21 ივნისის დადგენილებით შორაპნის მაზრა (ცენტრი ზესტაფონი) დაიყო ორ ადმინისტრაციულ ერთეულად: ზესტაფონი და ჭიათურა, რადგან ზესტაფონიდან რთული იყო ჭიათურის სოფლების მართვა, ამასთან პრობლემური იყო ცენტრთან „კომუნიკაციის“ დამყარება. [8]

ზესტაფონის, ჭიათურისა და ხაშურის ცალკე გამოყოფის აუცილებლობა გამოწვეული იყო რამდენიმე მიზეზით:

1. მეურნეობის საკითხი. ეს პროვინციები მეურნეობის მთავარი მიმართულებებით ძირეულად განსხვავდებოდნენ იმ მაზრებისაგან, რომლებსაც მიეკუთვნებოდნენ.
2. მოსახლეობის რაოდენობა ცალკე ერთეულებში და სახელ-

[7] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 598, ფურ. №76.
[8] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 315, ფურ. №1.

მწიფო აპარატის სტრუქტურის საკითხი. სამ საფეხურიანი სისტემა საქართველოში ვერ განხორციელდებოდა თუ მაზრები იმ მოცულობის დარჩებოდა როგორიც იყო ქუთაისის, გორის და შორაპნის ანუ მოსახლეობა 200.000-300.000-მდე ერთი ერთეულისათვის გადაცილებული იქნებოდა ის ოპტიმალური ნორმა, რაც სამსაფეხურიან სისტემას შესაძლებელს გახდიდა. ამ მოცულობის მაზრა ვერ დაიჭერდა კავშირს ძირითად საზოგადოებრივ უჯრედთან ანუ თემთან.

3. სამეურნეო-ადმინისტრაციული საქალაქო ცენტრები. მესამე მიზეზი აღნიშნული პროვინციების ცალკე ერთეულად ჩამოყალიბებისა განაპირობა თავისი საქალაქო ცენტრის არსებობამ, რომელთანაც პროვინციები დაკავშირებული იყვნენ სამეურნეო პირობებით და ადმინისტრაციულ-კულტურული საჭიროებებით. საქალაქო ცენტრები გაშენებულია ეკონომიკურად მნიშვნელოვან სექტორებში, დიდ სამეურნეო გზაჯვარედინებზე.

4. აღნიშნული მაზრებიდან ტერიტორიების გამოყოფით მცირდებოდა ხარჯები, რადგან ხაშურის, ჭიათურისა და სამტრედიის პროვინციებში უკვე არსებობდა ე.წ. უმაზრო ქალაქების აპარატი, რომელთაც არ ჰქონდათ ტერიტორია. ტერიტორიების გამოყოფის შემდეგ მათი საჭიროება აღარ არსებობდა, რის გამოც გაერთიანდნენ საოლქო აპარატის შემადგენლობაში. [9]

არსებობდა თელავისა და სიღნაღის მაზრების გაერთიანების იდეა, თუმცა, გამოჩნდა რომ ისინი განსხვავდებოდნენ როგორც გეოგრაფიული ფაქტორების, ისე სამეურნეო მიმართულების მხრივ. თანაც ტერიტორია და მოსახლეობის რაოდენობა გადააჭარბებდა იმ რაოდენობას, რაც დაშვებული იყო დარაიონების სამ საფეხურიანი სისტემის დროს.

რაც შეეხება თრიალეთის ოლქს, მასში გაერთიანდა წალკისა და ბაშკიჩეთის რაიონები, რომელთა ტერიტორიები თრიალეთის მთებშია მოქცეული.

როგორც აღვნიშნეთ განსაკუთრებით რადიკალური ცვლილებები მოხდა თბილისის მაზრაში. მისი ახალი საზღვრები ასე ჩამოყალიბდა: თბილისის მაზრის, გარდა წალკისა და მასთან დაკავშირებული სექტორისა, დაემატა ბორჩალოს მაზრიდან აღმოსავლეთ ნაწილი (ბორჩალოს ბარი). დუშეთის მაზრიდან - საგურამო-მუხრანის სექტორი. გორის მაზრი-

[9] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე. 520, ფურ. №2. 6. 12. 21.

დან - ძეგვის სექტორი. სიღნაღის მაზრიდან - ჩაილური, კაკაბეთი.[10]

1927 წლიდან განხორციელდა სხვა ცვლილებები: გაერთიანდა სიღნაღის და თელავის მაზრები ცენტრით გურჯაანში, სხვა მეზობელი მაზრების საზღვრები არ შეცვლილა. გაერთიანდა რაჭისა და ლეჩხუმის მაზრები ცენტრით ჭრებალოში, რაჭა-ლეჩხუმის მაზრის სახელწოდებით. გაუქმდა დუშეთის მაზრა და შეუერთდა თბილისის მაზრას, ცენტრი თბილისი. სხვა მეზობელ მაზრების ტერიტორიული ცვლილება არ მომხდარა.[11]

სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა და წითელარმიელთა დეპუტატების საბჭოების მეხუთე ყრილობაზე 1929 წლის 13 აპრილს მიიღეს დადგენილება საქართველოს დარაიონების შესახებ: „....დარაიონება გატარებულ იქნეს სამ-საფეხურიანი ადმინისტრაციული დაყოფის სისტემით: ოლქი-რაიონი-სოფლის საბჭო.

წინადადება მიეცეს აფხაზეთის სსრ, აჭარისტანის ავტონომიურ სსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს შეიმუშაონ დარაიონების ზემოაღნიშნული პრინციპების საფუძველზე თავისი ქვემდებარე ტერიტორიის დარაიონების სათანადო პროექტი და წარუდგინონ იგი დასამტკიცებლად სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს“.[12]

საქართველოს მეორე რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წლის 11 ივლისის დადგენილებით ცენტრალურ კომიტეტთან, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პრაქტიკული ღონისძიებების სახელმძღვანელოდ შეიქმნა კომისია გ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით; წევრები: გ. ვაშაძე, ვ. ბოლქვაძე, გ. არუთინოვი, დ. ქუჩულორია, ვ. ანთიძე, ვ. ორჯონიკიძე, ბ. ბერაძე და ს. ბუაჩიძე. იმავე წლის 23 აგვისტოს მიიღეს დადგენილება საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის დამტკიცებისა და ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მოწყობის წესზე, თანდართული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განრიგთან ერთად.

აფხაზეთში 1929/30 წლებში შენარჩუნებული იქნა არსებული ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს წინადადება მიეცა 30 აგ-

[10] უიცა. ფონდი. 284. ანაწერი 1. საქმე 599, ფურ. №28.
[11] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე1026, ფურ. №1-6.
[12] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 2. საქმე 20, ფურ. №66.

ვისტომდე წარმოედგინა ოლქის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის პროექტი. იგივე, წინადადება მიეცა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის განმახორციელებელ თბილისის, კახეთის, გორისა და ქუთაისის კომისიებს, აგრეთვე ახალციხის, ახალქალაქის, ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებს დაენიშნათ რაიონული რწმუნებულები ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფისათვის, რომლებიც განახორციელებდნენ ადგილობრივ საჭირო ღონისძიებებს.

განისაზღვრა სასოფლო საბჭოების მოწყობის წესი, ხელისუფლების რაიონულ და საოლქო ორგანოების მოწყობა.

ა) იმ შემთხვევაში თუ სასოფლო საბჭოს ტერიტორია ემთხვეოდა თემის ტერიტორიას, სათემო საბჭო უნდა გარდაქმნილიყო სასოფლო საბჭოდ.

ბ) თუ თემის ტერიტორიაზე მოქმედებდა რამდენიმე სასოფლო საბჭო, ისინი უქმდებოდა და ერთიანდებოდა ერთ სასოფლო საბჭოდ.

გ) ახლად მოწყობილი სასოფლო საბჭო ირჩევდა პრეზიდიუმს, სამი წევრის და ორი კანდიდატის რაოდენობით. [13]

1929 წლის 15 სექტემბერს სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი ტერიტორიული დაყოფა.

მალე ყველასთვის ცხადი გახდა, რომ მაზრების ოლქებში გაერთიანებამ დადებითი შედეგები ვერ გამოიღო, ოლქები ზედმეტ ორგანოებად იქცნენ. 1930 წლის 19 აგვისტოს საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მცირე პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით იქმნება კომისია ოლქებისა და მაზრების ლიკვიდაციისთვის თვალყურის სადევნებლად.[14]

ცვლილებები შეეხო ადმინისტრაციული ერთეულების სახელწოდებებსაც. 1933 წლის 7 აპრილის და 17 აგვისტოს სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილებით სახელები შეეცვალათ:

ა) ხევის რაიონს ეწოდა ყაზბეგის რაიონი.

[13] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 1321, ფურ. №9.
[14] უიცა. ფონდი 284. ანაწერი 1. საქმე 1695, ფურ. № 26.

ბ) ერწო-თიანეთის რაიონს ეწოდა თიანეთის რაიონი, ცენტრი სოფ. ქვემო თიანეთი.

გ) გარე კახეთის რაიონს ეწოდა საგარეჯოს რაიონი.

დ) ტოლოშის რაიონს ეწოდა ასპინძის რაიონი, ცენტრით ასპინძა.

ე) სოფ. ბარმაქსიზს ეწოდა წალკა.

ვ) სოფ.ყარატაფას ეწოდა ყარაიას რაიონის ცენტრი. [15]

საქართველოს დარაიონების შედარება სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან შემდეგ სურათს იძლევა:

საშუალო ტერიტორია კვ. კმ. მცხოვრებთა საშუალო რიცხვი

რესპუბლიკები	რაიონი	სოფლის ადმ. ერთეული	რაიონი	სოფლის ადმ. ერთეული
რ.ს.ფ.ს.რ	6146	259	37.822	1.614
უკრაინა	-	-	-	-
ბელორ ს.ს.რ	1259	85	49832	3.367
აზერბ. ს.ს.რ	1439	70	30.000	1.500
სომხ. ს.ს.რ	931	40	23.834	1.023
საქართველოს ს.ს.რ	1048	102	33.152	3.237

1921-1935 წლის საქართველოს მოსახლეობამ იმატა 900.000 სული მცხოვრებით; რამაც გამოიწვია, როგორც დასახლლებული პუნქტების, ისე ძირითადი ადმინისტრაციული ერთეულების (სასოფლო საბჭოების) ზრდა. აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოგვყავს ცხრილი.[16]

წლები	მოსახლეობა	დასახ. პუნქტები	ძირ. ადმ.ერთ. სას. საბჭოები
1921	2.400 000	4.800	499
1926	2.700 000	4. 885	571
1930	3.000 000	4.900	686
1936	3.300 000	5.100	1029

ახალი სასოფლო საბჭოების დაარსება ხდებოდა საქართველოს ცა-

[15] უიცა. ფონდი 284, ანაწერი 1. საქმე 2406, ფურ. №16.
[16] უიცა. ფონდი 284, ანაწერი 1. საქმე 3081, ფურ. №2.

კის დადგენილების საფუძველზე, მათი ჩამოყალიბება უმეტეს შემთხვევაში სათანადო წესით არ ტარდებოდა. ამიტომ 1930 წელს იმავე ცაკის მიერ გამოცემულ იქნა ოფიციალური ადმინისტრაციული-ტერიტორიული დაყოფის წიგნი, რომელის მიხედვითაც უნდა ეხელმძღვანელათ ქვეყნის ყველა დაწესებულება-ორგანიზაციებს. 1930 წელს გაუქმდა საოლქო და შემოღებულ იქნა რაიონული სისტემა, რის შედეგადაც საგრძნობლად შეიცვალა, როგორც რაიონების, ისე სასოფლო საბჭოების რიცხვი.

საქართველოს მეორე რესპუბლიკის ცაკ-ის საორგანიზაციო განყოფილებამ შეადგინა ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის სია, სადაც შეტანილი იქნა ყველა ოფიციალურად მომხდარი ცვლილებები. სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1936 წლის 15 აპრილის სხდომაზე დამტკიცდა საქართველოს დასახლებული პუნქტებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიულიდაყოფის სიები .[17]

როგორც ვხედავთ 1921-1936 წლებში დაყოფა საკმაოდ რთული და დინამიური პროცესი იყო. საქართველოს ადმინისტრაციული მოწყობა განიცდიდა მნიშვნელოვან ცვლილებებს, რაც დაკავშირებული იყო საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ რეფორმებთან. ცვლილებები მიზნად ისახავდა მოსახლეობის და მეურნეობის მკაცრ კონტროლს. ამ პერიოდში ჩამოყალიბდა აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ეს საბჭოთა კავშირის პოლიტიკის ნაწილი იყო, რომელიც ეთნიკური ჯგუფების მართვას ემსახურებოდა.

[17] უიცა. ფონდი 284, ანაწერი 1. საქმე 33081, ფურ №11.

Archil Kokhreidze
Senior Researcher,
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology,
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

Gvantsa Phkhakadze
Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

THE ISSUE OF THE ADMINISTRATIVE-TERRITORIAL STRUCTURE OF GEORGIA IN THE 20S OF THE 20TH CENTURY

Summary

On February 25, 1921, Soviet power was established in Georgia. After that, it had to experience all conceivable and inconceivable experiments that were carried out in the country by the Soviet totalitarian regime. Soon after the establishment of Soviet power, the idea arose that the Soviet socialist republics of Transcaucasia were unable to ensure their existence independently and that they should unite into a unified federal republic. On March 12, 1922, a conference of representatives of the authorities of all three Transcaucasian republics was held, where a union treaty between the republics of Transcaucasia was approved. After that on December 10 of the same year, the Federative Union of Transcaucasia, which had existed until that time, was transformed into a unified federal state called the Transcaucasian Socialist Federative Soviet Republic.

The advisability of creating such an artificial state was the subject of serious debates within the ranks of the Communist Party of the Soviet Union itself. In Georgian Soviet historiography, this event is assessed as a great historical phenomenon. Georgia was part of this state entity for almost 15 years. Many issues related to the functioning of the Transcaucasian Socialist Federative Soviet Republic have not yet been studied. Including issues related to the existence of borders within this new federal state in 1922-1936. The object of the study of this article is the issue of the internal administrative-territorial structure of Georgia in 1921-1925. From the very first years of the

establishment of Soviet power in Georgia, it became obvious that the existing administrative division of the country is not able to promote the solution of political and economic tasks and needs faced by the country.

After the emergence of new realities, it was necessary to bring the national economy and administrative management of the country into maximum compliance. The new administrative-territorial division was based primarily on economic factors. At the same time, attention was also paid to issues related to the national peculiarities of the country.

A. Kaladze notes as follows: "The administrative structure of the country on a basis of raions had a very pragmatic significance. The division of the republics into the smallest administrative units ensured a high level of totalitarian rule. The communists acted according to the well-known principle of such ancient conquerors as the Roman Empire and others - divide and conquer."

Such administrative policy was primarily directed against the Georgian population. It was necessary to erase from the consciousness of Georgians their national identity and the memory of their historical roots. This ultimately had to lead to the creation of a new type of person and, if you like, a new nationality – the Soviet people.

The administrative-territorial division in the years 1921-1936 was a rather complex and dynamic process. During this period, the administrative structure of Georgia underwent significant changes, which were due to political and administrative reforms carried out by the leadership of the Soviet Union.

The purpose of these changes was to establish a strict control over the population and economy of the country. During this period, the Autonomous Republics of Abkhazia and Adjara, as well as the South Ossetian Autonomous Oblast were created. This was part of the Soviet Union's policy for managing small ethnic groups.